





საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center

ცნობის ფურცელი

№2, 2014





კონკურსები

2014 წლის II კვარტალში ეროვნულმა კინოცენტრმა გამოაცხადა კონკურსები შემდეგ კატეგორიებში:

1. 2014 წლის 8 მაისს გამოცხადა სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის პროექტის განვითარების დაფინანსების კონკურსი (საკონკურსო ფონდი 45 000 ლარი), პროექტების შემოტანის ბოლო ვადა იყო 27 ივნისი, შემოვიდა 24 პროექტი, განსახილველად გადაეცა საექსპერტო კომისიას. გამარჯვებული პროექტები გამოვლინდება ივლისში.
2. 2014 წლის 10 ივნისს გამოცხადდა მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის პროექტის განვითარების დაფინანსების კონკურსი (საკონკურსო ფონდი 25 000 ლარი), პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 14 ივლისი.

მიმდინარე კინოპროექტები, II კვარტალი

- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი “ბერლინის ახალი კედელი” (საპროდიუსერო კომპანია - ააიპ“ თი-სტუდია“, რეჟისორი - თომა ჩაგელიშვილი).
- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „როცა დედამიწა მსუბუქია“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ზაზარფილმი“, რეჟისორები - სალომე მაჩაიძე, თამარ ქარუმიძე, დავით მესხი).
- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „დევნილი გემი ენგური“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ნალი“, რეჟისორი - ვახტანგ ვარაზი).
- მოსამზადებელ პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „26 საუკუნე ერთად“ (პროდიუსერი და რეჟისორი - ინდ/მეწარმე „მიშა ჭიაურელი“).
- მოსამზადებელ პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ფრანი“ (საპროდიუსერო კომპანია - ფ/პირი „გიორგი ვასაძე“, რეჟისორ/ანიმატორი - ვლადიმერ სულაქველიძე).
- მოსამზადებელ პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ჯინო“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ლირა ფროდაქშენი“, რეჟისორი - დათო კიკნაველიძე).
- მოსამზადებელ პერიოდშია სადიპლომო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „შუქნიშანი“ (საპროდიუსერო კომპანია - შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი, რეჟისორი - მარია სიჩანინი).

„ურსუსი“; რეჟ. ოთარ შამათავა





„მე ვარ ბესო“; რეჟ. გიორგი ცქვიტინიძე



„ემშაკის ბორბალი“; რეჟ. უტა ბერია



„სიმინდის კუნძული“; რეჟ. გიორგი ოვაშვილი



„ცხრა მთას იქით“; რეჟ. ლევან თუთბერიძე

- მოსამზადებელ პერიოდშია სადიპლომო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მე, ისინი და მამა“ (საპროდიუსერო კომპანია - შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი, რეჟისორი - სალომე ვეფხვაძე).
- მოსამზადებელ პერიოდშია სადიპლომო მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ცუდი ექსკურსია“ (საპროდიუსერო კომპანია - შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი, რეჟისორი - ელენე ჟორჟოლიანი).
- მოსამზადებელ პერიოდშია სადიპლომო მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „როცა გარეთ წვიმს, ან დაუმთავრებელი პარტია“ (პროდიუსერი - შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი, რეჟისორი - თეა ვაწაძე).
- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გაყინული შადრევნების წელიწადი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს 29 +, რეჟისორი - ივანე ბურდული).
- მოსამზადებელ პერიოდშია სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გაპიკოება“ (საპროდიუსერო კომპანია - ინდ/მეწარმე გიო მგელაძე - კატმანდუ, რეჟისორი - გიო მგელაძე).

- გადაღების პროცესშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „არხი“ (საპროდიუსერო კომპანია - ააიპ საქდოკ ფილმი, რეჟისორი - სალომე ჯაში).
- გადაღების პროცესშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ნივთები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „CINEMARK“, რეჟისორი - ნინო გოგუა).
- გადაღების პროცესშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ქარის დევნა“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს 20 Steps Productions, რეჟისორი - ზურაბ დემეტრეშვილი).
- სამონტაჟო პროცესშია სრულმეტრაჟიანი ქართულ-გერმანულ-უკრაინულ - ბულგარული პროექტი „ურსუსი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სტუდიო ო“, რეჟისორი - ოთარ შამათავა).
- სამონტაჟო პროცესშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ძილის გაკვეთილები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს კავკასიური ფილმოდრომი, რეჟისორი - რუსუდან პირველი).
- სამონტაჟო პროცესშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სხვისი სახლი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სინტექი“, რეჟისორი - რუსუდან გლურჯიძე).
- სამონტაჟო პროცესშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ბედნიერები გემოვნებაზე არ დაობენ“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს კავკასიის კინოსერვისი, რეჟისორი - ირაკლი სოლომანაშვილი).
- სამონტაჟო პროცესშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ჩეჩნეთის გზაჯვარედინი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სტუდია ლოკოკინა“, რეჟისორი - ალექსანდრე კვატაშიძე).
- სამონტაჟო პროცესშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ციხის აღსარებები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „კინო იბერიკა“, რეჟისორი - ლევან კოლუაშვილი).
- სამონტაჟო პროცესშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ფიქრი“ (საპროდიუსერო კომპანია - ფ/პირი ირაკლი ბაღათურია, რეჟისორი - გელა კანდელაკი).
- სამონტაჟო პროცესშია სრულმეტრაჟიანი ქართულ-გერმანულ-ფრანგული პროექტი „კონკურსი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „კორო ფიქერს“, რეჟისორი - დიტო ცინცაძე).

„ცხოვრება და ღვაწლი ექვთიმე თაყაიშვილისა“; რეჟ. ანდრო ჭიაურელი



- სამონტაჟო პროცესშია მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ამირი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „New Wave“, რეჟისორი - გაბრიელ რაზმაძე).
- სამონტაჟო პროცესშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ოგასავარი“ (საპროდიუსერო კომპანია - ააიპ საქდოკ ფილმი, რეჟისორი - ვახტანგ კოტეტიშვილი).
- სამონტაჟო პროცესშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „რელიგია, ძალაუფლება, სახელმწიფო, საქართველო 1989 – 2013წ“ (პროდიუსერი და რეჟისორი - სოსო დუმბაძე).
- დასრულდა I დრაფტი სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმისა „ცხოვრება და ღვაწლი ექვთიმე თაყაიშვილისა“ (პროდიუსერი - შპს ჭიაურელი ბრაზერს არტ სტუდიო, რეჟისორი - ანდრო ჭიაურელი).
- დასრულდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მე ვარ ბესო“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს პანსიონატი, რეჟისორი - გიორგი ცქვიტინიძე).
- დასრულდა მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ემშაკის ბორბალი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სტუდია რელითი“, რეჟისორი - უტა ბერია).
- დასრულდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ცხრა მთას იქით“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „გამს ფიქერს“, რეჟისორი - ლევან თუთბერიძე).
- დასრულდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სიმინდის კუნძული“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ალამდარი“, რეჟისორი - გიორგი ოვაშვილი).
- დასრულდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ეპიკი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „20 STEPS PRODUCTIONS“, რეჟისორი - ბენ ჰოპკინსი).
- განვითარების პროცესშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „ვენეცია“ (განმცხადებელი - შპს „ნიკე სტუდია“, სცენარის ავტორი - რუსუდან ჭყონია).

„ეპიკი“; რეჟ. ბენ ჰოპკინსი



„ეპიკი“; რეჟ. ბენ ჰოპკინსი





ქართული კინო კანის 67-ე კინოფესტივალზე (14-25 მაისი, 2014)

2014 წელს კანის 67-ე კინოფესტივალზე ქართულ კინოს განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა.

ელდარ შენგელაიას უკვდავი „ცისფერი მთები“ სექციაში „Cannes Classics 2014“ საგანგებოდ იყო ნაჩვენები, როგორც ქართული კინემატოგრაფიის შედეგური. ამ სექციის საპატიო სტუმარი წელს კანში სოფი ლორენი იყო.

„ცისფერი მთების“ ორიგინალი ნეგატივიდან ექსკლუზიურად აღდგენილი - ციფრული ვერსია იყო წარმოდგენილი. (ორიგინალი „გოსფილმფონდში“ ინახება.)

რესტავრაცია საგანგებოდ საფესტივალო ჩვენებისთვის ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით განხორციელდა.

კანის ამავე სექციაში ნაჩვენები იყო ასევე სერგო ფარაჯანოვის „ბროწეულის ფერი“. („SAYAT NOVA“).

მოკლემეტრაჟიანი ფილმების მთავარ კონკურსში მონაწილეობდა დეა კულუმბეგაშვილის სადებიუტო ნამუშევარი „უხილავი სივრცეები“. 10 წუთიანი ქართული ფილმი 128 ქვეყნის 3450 მოკლემეტრაჟიანი ნამუშევრიდან შეირჩა და 9 საუკეთესოს შორის მოხვდა.



მიშელ ჰაზანავიჩუსის „მეზნა“, რომლის უდიდესი ნაწილი საქართველოშია გადაღებული და ფრანგულ-ქართული კოპროდუქციაა, კანის მთავარ კონკურსში მონაწილეობდა. ფილმის თემა ჩეჩნეთის ომია. (სტუდია „სარკე“).

ეროვნული კინოცენტრი კანის კინობაზრობაზე წელს, (14-25 მაისი) უკვე მეშვიდედ იყო წარმოდგენილი საქართველო პავილიონით.

პავილიონში ინდუსტრიული კუთხით იმუშავეს ეროვნული კინოცენტრის დირექტორმა - ნანა ჯანელიძემ, დირექტორის მოადგილემ - გიორგი ხაბაშვილმა და ევრიმაჟში საქართველოს წარმომადგენელმა - თამარ ტატიშვილმა. ასევე დისტრიბუციისა და ექსპორტის დეპარტამენტის უფროსმა - დავით ვაშაძემ და პროექტების მენეჯერმა - ნინო შერვაშიძემ.

კანის ფესტივალზე შეხვედრების შედეგად სამომავლოდ დაიგეგმა შემდეგი პროექტები:

- **მომა (MOMA)** - საუკუნის პროექტი. ნიუ იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში წარდგენილი იქნება 50-მდე ქართული ფილმი.
- **ბუსანი** - ქართველ ქალ რეჟისორთა რეტროსპექტივა.
- **ნიონის ფესტივალი შვეიცარიაში** - დოკუმენტური კინოს ამ ფესტივალზე 2015 წელს ფოკუსში საქართველო მოექცევა.
- **ანესის ფესტივალი**. ამ ფესტივალზე ასევე დაიგეგმა 2015 წელს ფოკუსი საქართველოზე.
- **სოფიას ფესტივალი**. ქართული ფილმების რეტროსპექტივა მომავალ წელს ამ ფესტივალზეც დაიგეგმა.
- **იდფას** ასევე დიდი ინტერესი აქვს საქართველოს მიმართ. მზად არიან ქართული პროექტების მისაღებად.
- **დოჰამ** ასევე გახსნა კარი ქართული კინოპროექტებისთვის. მოლაპარაკების შედეგად, ქართული პროექტი უკვე მიიღეს წინასწარ შერჩევაში.
- **ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა 2017** წელს მასპინძლობს საქართველოს - როგორც განსაკუთრებული სტუმარს. სავარაუდოდ, გამოცხადდება 21-ე საუკუნის ქართულ პროზაზე შექმნილი ფილმების წარმოებაზე კონკურსი.

18 მაისს, საქართველოს პავილიონში გაიმართა მიღება (Happy Hour) უცხოელი სტუმრებისთვის საქართველოს და ქართული კინოს პოპულარიზაციის მიზნით.

კანის კინობაზრობაზე სხვადასხვა მიზნით გაემგზავრნენ ასევე ქართველი რეჟისორები და პროდიუსერები: თინათინ ყაჯრიშვილი, ლაშა ხალვაში, მარიამ ხაჭვანი, ვოვა კაჭარავა, ნოშრე ჩხაიძე, ეკა ჯოჯუა.



Producers on the Move

European Film Promotion-ის და ეროვნული კინოცენტრის ერთობლივი მუშაობის შედეგად, წელს, კანის ფესტივალზე, პროდიუსერთა პროგრამაში PRODUCERS ON THE MOVE ნომინირებული იყო ქართველი პროდიუსერი - თინათინ ყაჯრიშვილი. რეჟისორი და პროდიუსერი სექციაში წარადგენდა პროექტს: „ბილეთი ერთი მიმართულებით“.

ბაზრობაზე ასევე გაიმართა თინათინ ყაჯრიშვილის ფილმის „პატარძლების“ ოთხი ჩვენება. (Market Screenings).

კანის ფესტივალზე “მსოფლიო პავილიონში” (Cinema du Monde) მარიამ ხაჭვანი და ვოვა კაჭარავა მონაწილეობდნენ პროექტით „დედე“.

Producers Network

პროდიუსერებისთვის განკუთვნილ სექციაში Producers Network წელს საქართველოდან გაემგზავრნენ თბილისში გამართული მინი იავეს ტრეინინგის მონაწილეები: ნოშრე ჩხაიძე, ეკა ჯოჯუა, ლაშა ხალვაში.

კანის კინობაზრობა არის მსოფლიო კინოს ეპიცენტრი, სადაც ერთმანეთს ხვდებიან საერთაშორისო კინოინდუსტრიის წარმომადგენლები - კინოცენტრები და სხვა კინოინსტიტუციები. ეს არის უნიკალური პლატფორმა, რომელიც საშუალებას აძლევს კინოპროფესიონალებს განავითარონ თანამშრომლობა, გააფართოვონ პროფესიული ქსელი, გააცნონ ერთმანეთს ბოლო პერიოდის მიღწევები და დასახონ სამომავლო გეგმები.





„ამიკანი“ – თბილისის მე-8 საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალი

თბილისის მე-8 საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალი 3 ივნისს გაიხსნა. ფესტივალი ტრადიციულად ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით ჩატარდა.

გახსნაზე ნაჩვენები იყო ფილმი „გზაგასაყარზე“ – რეჟისორი ზურაბ დემეტრეშვილი. საფესტივალო დღეების განმავლობაში თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის მეორე კორპუსში მოეწყო კინოჩვენებები, მასტერკლასები და სხვა ღონისძიებები, რომელზეც დასწრება თავისუფალი იყო.

კინომცოდნე, პროფესორ ირინა დემეტრაძის ხელმძღვანელობით, პროფესიონალთა ჯგუფმა 300-ზე მეტი წარმოდგენილი ფილმიდან ფესტივალის საკონკურსო პროგრამისთვის 50 შეარჩია. ფესტივალზე წარმოდგენილი იყო 23 ქვეყნის კინოსკოლა: ფინეთი, გერმანია, ბელგია, ისრაელი, დანია, ბრიტანეთი, კოლუმბია, უკრაინა, რუსეთი, მაროკო, ჩეხეთი, ფილიპინები, სლოვაკეთი, ავსტრია, თურქეთი, ესპანეთი, ინდოეთი, პორტუგალია, პოლონეთი, ბრაზილია, ვიეტნამი, საბერძნეთი და საქართველო.

ფესტივალის საერთაშორისო ჟიური დაკომპლექტდა სხვადასხვა კინოსკოლის წარმომადგენლებით: დირკ ჰოიერი (Baltic film school, Estonia), ბერტ ბეიენსი (RITS school of art, Belgium), ზუზანა გინდლ-ტატაროვა (Eurimage Board Member, VSMU Slovakia), რომან შირმანი (უკრაინის კინოკავშირის გენერალური მდივანი, პროფესორი), რონ წინიო (Sem Spiegel Film and TV School, Israel)

ჟიურის ყველა წევრმა მოაწყო მასტერკლასი ან საინფორმაციო შეხვედრა. ჟიურის წევრების შეფასებით, გამოვლინდნენ გამარჯვებულები შემდეგ კატეგორიებში: საუკეთესო მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური/ექსპერიმენტული ფილმი.

ჟიურის სპეციალური პრიზი მიიღო ებრაულმა ფილმმა „დავიწყებული“. ჟიურიმ მეორე პრიზიც გასცა ესპანური ფილმისთვის „ჩემი პირდაპირი მზერა“.

ასევე, გაიცა სპეციალური სერტიფიკატები იმ სპეციალობების მიხედვით, რასაც სტუდენტები ეუფლებიან მსოფლიოს სხვადასხვა კინოსკოლებში: რეჟისურა, ხმა, მონტაჟი და ოპერატორის ნამუშევარი. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, კინოგანათლების საკითხების განსახილველად, წელს პირველად მოეწყო „მრგვალი მაგიდა“, სადაც მიწვეული იყო 15 ევროპული და რეგიონული კინოსკოლა. თბილისში შეიქმნება საერთაშორისო პლატფორმა, რომელიც თანამშრომლობის მემორანდუმით გააერთიანებს რამდენიმე უნივერსიტეტს, რაც სამომავლოდ ხელს შეუწყობს ერთობლივი პროექტების განხორციელებას.

ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით, ფესტივალს დაესწრო ოფიციალურ საკონკურსო პროგრამაში მოხვედრილი ფილმების 20 ავტორი. მათ მონაწილეობა მიიღეს ფესტივალის საგანმანათლებლო და კულტურულ ღონისძიებებში.



ქართული კინო საზღვარგარეთ



ახალი ქართული კინოს ფესტივალი დუბლინში

30 მაისს და 1 ივნისს დუბლინში, ახალი ქართული კინოს ფესტივალი გაიმართა. ნაჩვენები იყო ფილმები:

- თინა გურჩიანის “მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს”,
- ნანა ჯანელიძის “ნეტავ იქ თეატრი არის?!”
- რუსუდან ჭყონიას “გაილიმეთ”
- ნანა ექვთიმიშვილის და სიმონ გროსის “გრძელი ნათელი დღეები”.

კინოს დღეების ინიციატორი და ორგანიზატორი იყო ლეონორა ლოუ, კინოცენტრის მხარდაჭერით.

ქართული კინოს დღეები ბრაზილიაში

1-26 მაისს, ბრაზილიის დედაქალაქ ბრაზილიაში გაიმართა ქართული კინოს დღეები. ღონისძიების ფარგლებში ბრაზილიელ მაყურებელს საშუალება მიეცა ენახა 5 როგორც ძველი კლასიკური, ასევე ახალი ფილმები:

- ჩემი ბებია - კოტე მიქაბერიძე;
- ფიროსმანი - გიორგი შენგელაია;
- მონანიება - თენგიზ აბულაძე;
- გაღმა ნაპირი - გიორგი ოვაშვილი;
- გაილიმეთ - რუსუდან ჭყონია.

ღონისძიების ორგანიზატორი იყო საქართველოს საელჩო ბრაზილიაში, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი და ბრაზილიის ბანკი.

შემდგომ ეტაპზე მოხდა ფილმების ჩვენება სან-პაულოსა და რიო დე ჟანეიროში.

ქართული კინოს დღეები მექსიკაში

12-22 ივნისს ქალაქ მეხიკოში გაიმართა ქართული კინოს დღეები. ღონისძიების ფარგლებში მექსიკელ მაყურებელს საშუალება ჰქონდა ენახა 9 როგორც ძველი კლასიკური, ასევე ახალი ფილმები:

- ჩემი ბებია - კოტე მიქაბერიძე;
- ქეთო და კოტე - ვახტანგ ტაბლიაშვილი, შალვა გედევანიშვილი;
- მაგდანას ლურჯა - თენგიზ აბულაძე, რეზო ჩხეიძე;
- ფიროსმანი - გიორგი შენგელაია;
- სამი სახლი - ზაზა ურუშაძე;
- გაღმა ნაპირი - გიორგი ოვაშვილი;
- სუსა - რუსუდან პირველი;
- ქუჩის დღეები - ლევან კოლუაშვილი.

ღონისძიების ორგანიზატორი იყო საქართველოს საელჩო ბრაზილიაში, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით.



40 años

La Cineteca Nacional, la Embajada de Georgia en México y el Centro Nacional de Cine Georgiano lo invitan a la inauguración de la

SEMANA DE CINE GEORGIANO

del 12 al 22 de junio

con la proyección de

Mi abuela

Kote Mikaberidze, 1929

Musicalizada por la pianista Deborah Silberer

Jueves 12 de junio

Sala 1. Jorge Stahl

19:30 hrs.

Coctel al finalizar la función

Entrada Libre, cortesías en taquilla

CINETECA NACIONAL





კინოპროდიუსერთა საერთაშორისო ასოციაცია – ACE-ს ფორუმი თბილისში

ეროვნული კინოცენტრის ორგანიზებით და მხარდაჭერით, კინოპროდიუსერთა საერთაშორისო ქსელის - ACE-ის წევრების ყოველწლიური შეკრება საქართველოში გაიმართა. ოთხდღიანი შეხვედრების განმავლობაში ACE-მ ჩაატარა კოპროდუქციის ფორუმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს პროფესიონალებმა მსოფლიოს 40 ქვეყნიდან, მათ შორის საქართველოდან.

ქსელის შეხვედრებს 22 ქართველი პროდიუსერი დაესწრო. საქართველოს წარმომადგენელმა ევრიმაჟში - თამარ ტატიშვილმა უცხოელი პროდიუსერებისთვის საქართველოში მიმდინარე კინოპროცესების და კინოცენტრის საქმიანობის შესახებ პრეზენტაცია გამართა.

ჩატარდა სემინარები და ასოციაციის წევრების ყოველწლიური შეხვედრა. ეს არის პლატფორმა ადგილობრივი პროდიუსერებისთვის, შედგეს მოლაპარაკებები თანამშრომლობის შესახებ. (გადასაღები ლოკაციების აღმოჩენა, ტექნიკური მომსახურების დაგეგმვა). გარდა ამისა, მასპინძელი ქვეყნის პროფესიონალებისთვის ეს არის უნიკალური შესაძლებლობა წარუდგინონ თავიანთი კომპანიები, პროექტები და ინდუსტრია გამოცდილ კოლეგებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

თბილისში გამართულ ფორუმს დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული კინოპროექტების სამომავლო განვითარებისთვის, დაისახა პერსპექტივები და გამყარდა თანამშრომლობა ქართველ და ევროპელ პროფესიონალებს შორის.

ასოციაცია ACE დაარსდა 1993 წელს. იგი საშუალებას აძლევს გამოცდილ ევროპელ პროდიუსერებს ითანამშრომლონ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ფილმების კოპროდუქციისა და თანადაფინანსების კუთხით. ACE მართავს ტრეინინგ-პროგრამებს, შეისწავლის სხვადასხვა სადისტრიბუციო პლატფორმას და ბაზარს მთელ მსოფლიოში და კინემატოგრაფისტებს სთავაზობს მხარდაჭერას პროექტის განვითარების კუთხით.

ACE არის საერთაშორისო ქსელი, რომელიც აერთიანებს გამოცდილ პროდიუსერებს. ACE ხელს უწყობს პროდიუსერებს ერთმანეთისთვის გამოცდილების გაზიარებაში და იძლევა პრაქტიკულ რჩევებს კოპროდუქციისა და დაფინანსების სფეროში. 2012 წელს მისი წევრების

63%-მა შეძლო სულ მცირე ერთი კოპროდუქციის წარმოება ACE-ს ქსელის სხვა წევრთან. ეს შესაძლებელი გახდა ინტენსიური თანამშრომლობის შედეგად ბოლო სამი წლის მანძილზე. ყოველწლიური შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი ნაწილია ღონისძიებები, რომლებიც წარმოაჩენს მასპინძელ ქვეყანას და საშუალებას აძლევს ადგილობრივ პროდიუსერებს და ინდუსტრიის სხვა წარმომადგენლებს ითანამშრომლონ ACE-ის წევრებთან.

ეროვნული კინოცენტრის მიზანი იყო, მეტი საქმიანი ინფორმაციის მიწოდება მასპინძელი ქვეყნის კინოინდუსტრიის შესახებ, რათა ACE-ის წევრებმა რეგულარულად ითანამშრომლონ საქართველოსთან.

გარდა ამისა, ACE-ის შეხვედრებზე წარმოაჩენილი იყო ადგილობრივი ტურისტული პოტენციალი. ევროპელ პროდიუსერებთან თანამშრომლობით, შესაძლებელია დაიგეგმოს არაერთი უცხოური ფილმის საქართველოში გადაღება, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარებას.

MINI EAVE 2014 საქართველოში - პროექტის განვითარების ტრენინგ-პროგრამა

2014 წლის 30 ივნისიდან 3 ივლისის ჩათვლით, თბილისში, ეროვნული კინოცენტრისა და ევროპული აუდიოვიზუალური პლატფორმის EAVE-ს ორგანიზებით, ქორთიარდ მარიოტში კინოპროექტის განვითარების ტრენინგ-პროგრამა Mini EAVE 2014 ჩატარდა. ტრენინგ-პროგრამა შედგებოდა 3 დღიანი სემინარისა და ონლაინ-სესიისგან.

Mini EAVE-ს სემინარი ჩაატარეს გამოცდილმა ექსპერტებმა კინოს სფეროში, ესენი იყვნენ: ჟანი ტილჟესი, (ლუქსემბურგი) ხელმძღვანელი სწავლების დარგში/პროდიუსერების ტუტორი და კლერ დაუნზი (დიდი ბრიტანეთი) სცენარისტი, ლექტორი, კონსულტანტი, ბრიტანეთის ეროვნული კინო და სატელევიზიო სკოლის ლექტორი.

ტრენინგ პროგრამა Mini EAVE საქართველოში მეოთხედ ჩატარდა.



საერთაშორისო ექსპერტთა კომისიამ MINI-EAVE-ს ტრეინინგში მონაწილეობის მისაღებად შეარჩია შემდეგი ქართული პროექტები:

- ხვედრი - პროდიუსერი - კონსტანტინე ჩლაიძე; სცენარის ავტორი მიხო მოსულიშვილი.
- ჩემპიონი - პროდიუსერი - ნიკოლოზ გუგუშვილი; სცენარის ავტორი ვაკო კირკიტაძე.
- კონტრაბანდისტები - პროდიუსერი - ვლადიმერ კაჭარავა; სცენარის ავტორი ბესო სოლომანაშვილი.
- არხი - პროდიუსერი - ზაზა რუსაძე; სცენარის ავტორი სალომე ჯაში.
- სპილოების სასაფლაო - პროდიუსერი - გიორგი თავართქილაძე; სცენარის ავტორი გიორგი თავართქილაძე.

პროექტ „კინო სკოლაში“ დახურვა

20 ივნისს გორის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში გაიმართა ეროვნული კინოცენტრის პროექტის „კინო სკოლაში“ დახურვის ცერემონია. პროექტის დახურვას ესწრებოდნენ ეროვნული კინოცენტრის დირექტორი ნანა ჯანელიძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი ნანა დოლიძე, აგრეთვე საქართველოში აშშ-ს საელჩოს წარმომადგენელი და გორის გამგებელი. აგრეთვე სკოლების ადმინისტრაციისა და პროექტის პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები. პროექტში მონაწილე სკოლებს და მოსწავლეებს გადაეცათ კინოსკოლელის სერტიფიკატი.



პროექტის მსვლელობის დროს მოწაფეებს ასწავლეს სცენარის წერა და საზეიმო დახურვის ცერემონიაზე დასახელდა 5 გამარჯვებული სცენარი. მათ ავტორებს გადაეცათ ელდარ შენგელაიას წიგნები „მათქმევინეთ ორიოდ სიტყვა...“ კინორეჟისორის სამახსოვრო წარწერით.

დახურვის ცერემონიის შემდეგ, ნაჩვენები იყო კინოცენტრის მიერ დაფინანსებული, ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ფილმი „გრძელი ნათელი დღეები“. ჩვენებას ესწრებოდნენ ფილმის მთავარი როლის შემსრულებლები: ლიკა ბაბლუანი და მარიამ ბოკერია. ჩვენების შემდეგ მოსწავლეებმა ფილმის მთავარ გმირებს დაუსვეს კითხვები. კითხვა-პასუხი ერთ საათს გაგრძელდა.

პროექტი „კინო სკოლაში“ მიზნად ისახავს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოზარდ თაობაში კინოხელოვნების პოპულარიზაციის გზით ანალიტიკური აზროვნების და ესთეტიკური აღქმის უნარის განვითარებას.

პროექტის ფარგლებში, 3 თვის განმავლობაში საქართველოს 5 რეგიონის 40 სკოლაში გაიმართა 480 კინოჩვენება, რომელსაც 5000-მდე მოსწავლე დაესწრო.

კინო ჯარი

კინოჩვენება ეროვნული თავდაცვის აკადემიაში

ეროვნული თავდაცვის აკადემიის კინორეჟისორი, ელდარ შენგელაია და ეროვნული კინოცენტრის დირექტორი, ნანა ჯანელიძე ესტუმრნენ.

“ჯარის მეგობართა საზოგადოების” პროექტის ფარგლებში, აკადემიის საბაკალავრო სკოლის იუნკერებისათვის, ელდარ შენგელაიას ფილმის „შერეკილები“ ჩვენება გაიმართა.

რეჟისორმა იუნკერებს ფილმის გადაღებასთან დაკავშირებული საინტერესო ისტორიები უამბო. მან ასევე ისაუბრა თავის სარეჟისორო კარიერასა და პირად გამოცდილებაზე. ფილმის დასრულების შემდეგ, რეჟისორმა შეკითხვებსაც უპასუხა.

ფილმის ჩვენება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და კინოცენტრს შორის არსებული მემორანდუმის ფარგლებში განხორციელდა. სამხედრო მოსამსახურეებისთვის მსგავსი ტიპის კინოჩვენებები მომავალშიც გაიმართება.





შურნალ FILM PRINT-ის მე-12 ნომრის პრეზენტაცია

თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმში, ეროვნულმა კინოცენტრმა გამართა ჟურნალ Film Print-ის მეთორმეტე ნომრის პრეზენტაცია.

2014 წლის ზაფხულის ნომრის რედაქტორები არიან კინომცოდნეები - მაკა კველიშვილი და ირაკლი მახარაძე.

ჟურნალი ქართულ კინემატოგრაფზე კვარტალში ერთხელ გამოდის და ყოველ ნომერზე მუშაობს რედაქტორთა ახალი ჯგუფი.

ახალ ნომერში აქცენტი გაკეთდა როგორც თანამედროვე ქართულ კინემატოგრაფზე, ასევე კინოკლასიკაზე.

ჟურნალში მიმოხილულია ბოლო პერიოდში ჩატარებული საერთაშორისო კინოფესტივალები.

წაიკითხავთ საინტერესო წერილებს: ქართველ ანიმატორებზე, მეოცე საუკუნის დასაწყისის იტალიური კინოს ქართველ ვარსკვლავზე, სტატიას დოკუმენტური ფილმების სტუდიაზე, თარგმანისა და გახმოვანების პრობლემებზე.

გაეცნობით საინტერესო რეცენზიებს ბოლო პერიოდში გადაღებულ მხატვრულ და დოკუმენტურ ფილმებზე.

იხილავთ ვრცელ რეპორტაჟს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური უნივერსიტეტიდან, ფოტოპროექტს „კინომანი“, ასევე ინტერვიუებს ლევან ბერძენიშვილთან, საიმონ პერისთან, ჩედომირ კოლართან და სხვა . . .

ჟურნალის მიზანია, ქართული კინოკულტურის პოპულარიზაცია, თანამედროვე კინოპროცესების გაცნობა ფართო აუდიტორიისათვის, კინოსექტორში მოღვაწე ადამიანების ინფორმირება მათი კოლეგების მიღწევებისა და პროფესიული გეგმების შესახებ გარდა ამისა, ჟურნალი საინტერესო იქნება სხვადასხვა სფეროში მოღვაწე მკითხველისთვისაც, რაც თავის მხრივ გამოიწვევს ზოგადი ინტერესის გაზრდას კინოს მიმართ.

ჟურნალი ვრცელდება უფასოდ ლიტერატურულ კაფეებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში.



ეროვნული კინოცენტრი - აპრილიდან აპრილამდე (2013-2014)

25 აპრილს, ქორთიარდ მარიოტის მეორე დარბაზში გაიმართა ეროვნული კინოცენტრის ერთი წლის საქმიანობის წარდგენა.

“ეროვნული კინოცენტრი - აპრილიდან აპრილამდე”

პრეზენტაციას გაუძღვა ეროვნული კინოცენტრის დირექტორი - ნანა ჯანელიძე.

პრეზენტაციაზე მან საზოგადოებას გააცნო ქართული კინოს პოლიტიკა და მიმდინარე კინოპროცესები, ქართული კინოს ბოლოდროინდელ წარმატებები.

მოწვეულ სტუმრებს შორის კინემატოგრაფისტების გარდა, იყვნენ ოფიციალური პირები - საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის კულტურისა და განათლების კომიტეტის წევრები. პრეზენტაციას დაესწრო კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე - მანანა ბერიკაშვილი.

თანამშრომლობა ეროვნულ კინოცენტრსა და APSA-ს (ASIA PACIFIC SCREEN AWARDS) შორის

ეროვნული კინოცენტრი აზიურ ოსკარად წოდებულ APSA-სთან თანამშრომლობის მემორანდუმს აფორმებს და ორგანიზაციის წევრი ხდება.

საქართველოს ეროვნული კინოცენტრი (APSA-ს წევრი ორგანიზაცია) და Asia Pacific Screen Awards (APSA) თანხმდებიან, რომ ითანამშრომლონ ქართული ფილმების და ქართველი კინემატოგრაფისტების წარმოჩენის საქმეში საერთაშორისო მასშტაბით APSA-ს კულტურული ინიციატივის მეშვეობით.

თანამშრომლობის შედეგად, 2014 წელს დაჯილდოებაზე შესაძლებელი იქნება 4 ფილმის წარდგენა სხვადასხვა კატეგორიაში:

- მხატვრული ფილმი (60 წუთი +);
- საბავშვო მხატვრული ფილმი (60 წუთი +);
- მხატვრული ანიმაციური ფილმი (40 წუთი +);
- დოკუმენტური ფილმი (40 წუთი +).

ფილმების წარდგენა შესაძლებელია 2014 წლის აგვისტომდე.

აღსანიშნავია, რომ სალომე ჯაშის „ბახმარო“ 2011 წელს APSA-ს საუკეთესო დოკუმენტური ფილმების სიაში მოხვდა.



Asia Pacific Screen Awards (APSA)

Asia Pacific Screen Awards (APSA) უკვე მერვე წელია არსებობს, როგორც საერთაშორისო კულტურული ინიციატივა, რომელიც ემსახურება აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მრავალფეროვნების წარმოჩენას ფილმების მეშვეობით. APSA-ს მთავარი ოფისი მდებარეობს ბრიზბენში, ქვინზლენდში და ექვემდებარება ბრიზბენის მერიას.

იუნესკოს პარიზის ოფისთან და კინოპროდიუსერთა ასოციაციის საერთაშორისო ფედერაციასთან მჭიდრო თანამშრომლობით, APSA მოიცავს 70 ქვეყნის კინოკულტურას, აერთიანებს 4.5 მილიარდ ადამიანს და მსოფლიოს კინოპროდუქციის ნახევარს.

დაჯილდოვების ცერემონიული პირველად შედგა 2007 წლის 13 ნოემბერს, ოქროს სანაპიროზე. CNN გადმოსცემდა დაჯილდოვების ცერემონიულს და ორ დოკუმენტურ პროგრამას Scene By Scene, რომლებიც ასახავდნენ რეგიონის ფილმებისა და კინემატოგრაფისტების ისტორიებს.

The Asia Pacific Screen Academy დაარსდა 2008 წელს და აერთიანებს 660 ცნობილ კინემატოგრაფისტს. აკადემიას ყოველწლიურად უერთდება 100 ადამიანი, მათ შორის APSA-ს ნომინანტები, საერთაშორისო ჟიური და ნომინაციის საბჭოს წევრები.

ყოველწლიურად APSA-ს აკადემიის კინოფონდი და APSA-ს საბავშვო ფონდი შეადგენს 140,000 დოლარს, რომელიც ენიჭება რეგიონის კინემატოგრაფისტებს ფილმის განვითარების მიზნით. გარდა ამისა, APSA NETPAC აკადემია ყოველ წელს 10,000 დოლარს გამოყოფს განვითარების პრემიის სახით, რომელიც ენიჭება რეგიონის დამწყებ კინემატოგრაფისტებს.

ამჟამად APSA-ს:

- მიღებული აქვს 1,458 ფილმის განაცხადი 56 ქვეყნიდან;
- მინიჭებული აქვს 89 პრემია 153 კინემატოგრაფისტისთვის.
- გაცემული აქვს \$500,000 როგორც განვითარების გრანტი 20 ნიჭიერი კინემატოგრაფისტისთვის.

Asia Pacific დაჯილდოვების მერვე ცერემონია ჩატარდება 2014 წლის 11 დეკემბერს ბრიზბენის მერიის ისტორიულ შენობაში ქვინზლენდში. ღონისძიებას დაესწრება 1200 ავსტრალიელი და უცხოელი კინემატოგრაფისტი, კორპორაციების და მთავრობის წარმომადგენლები.

ყოველ წელს APSA იწვევს მოცემული რეგიონის რომელიმე კინო ორგანიზაციას, რომელიც დაეხმარება მას რეგიონის ფილმების წარმოჩენაში და დიალოგისა და თანამშრომლობის ხელშეწყობაში.

ბოლო 7 წლის მანძილზე APSA-მ წარმატებით ითანამშრომლა 43 ორგანიზაციასთან აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის 48 ქვეყნიდან.

www.gnfc.ge

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

ზ. გამსახურდიას სანაპირო #4
თბილისი 0105, საქართველო

ტელ: +995 32 299 92 00
ფაქსი: +995 32 299 91 02

info@gnfc.ge

www.gnfc.ge

www.filmcommission.ge